ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №3

ქ. ლანჩხუთი

24.04.2026 წელი
14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: სპარტაკ კვაჭაძე, ვლადიმერ ნანაძე, ირაკლი ცინცაძე, ვერიკო კვირკველია, თენგიზ ხუხუნაიშვილი, გოჩა ჯანაშია და ტატო ურუშაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია,** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრის" დირექტორი **დიმიტრი მარშანიშვილი** და ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე **ია მოქია.**

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

2. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-8, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ 2025 წლის ბიუჯეტის ყველა პარამეტრი როგორც შემოსავლით, ასევე ხარჯვით ნაწილში შესრულებულია. შემოსავლები კაპიტალურის ჩათვლით შესრულებულია 101.3 %ით. 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 3690,7 ათას ლარს, მათ შორის განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ნაშთი შეადგენდა 1399,1 ათას ლარს , საიდანაც 3428,9 ათასი ლარი მიიმართა 2025 წლის ბიუჯეტში სხვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად. ასევე მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად და ინფრასტრუქტურული ობიექტების ნაწილობრივ ან მთლიანად დაფინანსებისთვის გაწერილია 2025 წლის ბიუჯეტში 3428,9 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 57866,5 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (66960,6 ათ ლარი) 86,4 %-ია. 2025 წლის IV კვარტალში მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 6536.8 ათ ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (6820.0 ათ ლარი) 95.9 % პროცენტია. აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები : 1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა - 1441.3 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია 4062.7 ათ ლარი, 2. საერთო დანიშნულების ხარჯი : მუნიციპალიტეტის ვალდებულების მომსახურება და დაფარვა -1032.8 ათ. ლარი, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა -968.6 ათ ლარი.

მან ასევე აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 30728.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 88.4% პროცენტია. დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 2722.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8 პროცენტია. გამოყოფილი სახსრებიდან 2381.7 ათასი ლარი მოხმარდა მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების გატანას, მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობასა და განვითარებაზე დაიხარჯა 320.9 ლარი. უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებებზე გაიხარჯა 19.9 ათ ლარი. საგანმანათლებლო ღონისძიებებზე 2025 წლის II კვარტალში გაიხარჯა 6377.8 ათასი ლარი, რაც გეგმის - 91.9 პროცენტია. აღნიშნული თანხებიდან სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებაზე მიმართული იქნა 4887.3 ათასი ლარი, საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების დაფინანსებაზე დაიხარჯა 1205.2 ათასი ლარი რაც გეგმის 96.5 %-ია. სპორტულ, ახალგაზრდულ და კულტურულ ღონისძიებებზე გაწეული იქნა 7114.8 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7720.9 ათასი ლარისა, ანუ გეგმის 92.2 პროცენტი. აღნიშნულის სახსრებიდან სპორტის განვითარებას მოხმარდა 4615.5 ათასი ლარი, კულტურის განვითარებას - 2467.9 ათასი ლარი, ახალგაზრდობის მხარდაჭერას - 31.5 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები დაფინანსდა 4366.0 ათასი ლარით 54.7 %-ით ,მათ შორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსებას მოხმარდა 287.8 ათასი ლარი, ხოლო სოციალურ დაცვას 4078.2 ათასი ლარი.

ალექსანდრე მახათაძემ მადლობა გადაუხადა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს გაწეული მუშაობისთვის.

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

მომხრე-7, წინააღმდეგი - 1 (გოჩა ჯანაშია).

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

2. სხვადასხვა

- **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას დაეწერა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრის“ წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სპორტსმენების კვების დღიური თანხა შეადგენს 15 ლარს, რაც დღევანდელი პირობების გათვალისწინებით არასაკმარისია. აღნიშნულიდან გამომდინარე ცენტრის ხელმძღვანელობა ითხოვს დღიური კვების თანხის გაზრდას (დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში) 30 ლარამდე.

- **ია მოქიამ** აღნიშნა, რომ სპორტული ცენტრის მიერ წარმოდგენილი წერილი არ არის სრულყოფილი. აუცილებელია დაკონკრეტდეს, რომ თანხის დამატება ხდება შიდა ასიგნებების ფარგლებში და ამისთვის არ არის საჭირო ბიუჯეტის გაზრდა. ასევე აუცილებელია შემუშავდეს პროექტი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სადაც ზუსტად იქნება გაწერილი ყველა დეტალი და ყოველივე აღნიშნულის შემდეგ მოხდება საკითხის განხილვა.

-**როლანდ ლაშხიამ** გააკეტა განმარტება და აღნიშნა, რომ არსებულ საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი სტრუქტურების მიერ არ არის რაიმე ტიპის ნორმატიული აქტი შემუშავებული, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა სპორტსმენების დღიური კვების თანხის გაზრდა. საკითხთან დაკავშირებით აუცილებლობას წარმოადგენს შესაბამის სპეციალისტებთან ერთად შემუშავებული იქნას არგუმენტირებული წინადადება კვების თანხის დღიური ნორმის გაზრდასთან დაკავშირებით.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №3

ქ. ლანჩხუთი

24.04.2026 წელი

2026 წლის 24 აპრილს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე : ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

24.04.2026 წელი
14:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	13 55	
2	ვერიკო კვირკველია	14. 03	
3	გიორგი ჩახვაძე	ს. ესტუმარი	
4	სპარტაკ კვაჭაძე	13-57	
5	ტატო ურუშაძე	13 55	
6	ვლადიმერ ნანაძე	13 55	
7	თენგიზ ხუხუნაიშვილი	13 55	
8	ირაკლი ცინცაძე	13 57	
9	გოჩა ჯანაშია	13 55	